№ 3
(11 255)
15 - 18 იანვარი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნინო ხურციძის ახალი წარმატება



ნინო ხურციძემ დეკემბერში საქართველოს ჩემპიონატში ბრწყინვალე სტილით გამარჯვების შემდეგ ახალ წარმატებას მიაღწია ათენში გამართულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში: 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ამავე დროს მან ვაჟთა საერთაშორისო ოსტატის ნორმაც შეასრულა.

## საუკუნის რჩეული ფორვარდები არიან


იოჰან კრუიფი


ფრანც ბეკენბაუერი


ალფრედო დი სტეფანო


ფერენც პუშკაში



მიშელ პლატინი


ეუსებიო და სილვა


ბობი ჩარლტონი


სტენლი მეტიუზი



გერდ მიულერი


მარკო ვან ბასტენი

მასალა საუკუნის რჩეული ფეხბურთელების შესახებ იხილეთ გვ. 5-ზე

### თემა განსჯისათვის
## ერთიანი სპორტული სისტემა? რატომაც არა!

საბჭოთა სპორტის მემკვიდრეობა მძიმე გამოდგა და არა მხოლოდ ჩვენთვის. ის უდიდესი სპორტული ინდუსტრია სულ სხვა სოციალურ, ეკონომიკურ და, გნებავთ, პოლიტიკურ პრინციპებზე იყო აგებული, ახალმა დრომ კი სპორტისადმი ახალი მიდგომა მოიტანა. საბჭოთა პროფკავშირულ თუ სხვა უწყებრივ ორგანიზაციებს, მართალია, მართვის ავტონომია ჰქონდათ, მაგრამ ისინი სახელმწიფო ხელმძღვანელობის დონეზე იყო აყვანილი და ერთიან სისტემაში იჯდა თავისი მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურით.

ვფიქრობთ, უკვე საკმაო დრო გავიდა საიმისოდ, რომ დავრწმუნებულიყავით თუ რა მოგვიტანა მემკვიდრეობის პრინციპის შენარჩუნებამ ანუ სისტემის დაქსასულობამ. კი, ქვეყანაში სპორტის განვითარებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო სტრუქტურა — ჩვენი დეპარტამენტი, მაგრამ, პირდაპირ ვთქვათ, ეს დეკლარირება უფროა, პრაქტიკულად სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. იმას ვამბობთ, რომ კვლავ თავისი, უწყებრივ ინტერესებს ჩასჭიდებია სპორტული საზოგადოებები და უწყებები, საერთო ამოცანის — ქართული სპორტის წინსვლაში კი მათი წვლილი საქმიანობით და არა ერთეული სპორტსმენებით, მინიმალურია. ავიღოთ ბავშვთა სპორტი. სახელმწიფო ამ სფეროს ცალკე აფინანსებს განათლების სამინისტროს მეშვეობით, პასუხისმგებლობა კი ყველაფერზე სპორტის დეპარტამენტს ეკისრება. რაკი ბავშვთა სპორტი დიდი სპორტის რეზერვია და აუცილებელია ასაკობრივი მემკვიდრეობითობის შენარჩუნება, განა არ აჯობებდა იგი მთლიანად მართვის ერთიან სისტემაში მოექცეს და დაფინანსება გაერთიანდეს სპორტის დეპარტამენტში? ასე რომ აჯობებს, განა ვინმესთვის საეჭვოა? იგივე ითქმის სხვა სპორტულ ორგანიზაციებზე და უწყებებზე. ჩემი და შენი უნდა შეერწყას და გახდეს — ჩვენი. ქართული სპორტი მთელი ქვეყნისაა, ჩვენი საერთო საზრუნავია და რაც უფრო მალე გადაწყდება გაერთიანების პრობლემა, აჯობებს. სპორტული კონკურენცია? სადღაა კონკურენცია, თუმცა, ესეც შეიძლება უკეთ მოგვარდეს სპორტული კლუბების სისტემის გაფართოებით.

მიმომხილველი

### კონფლიქტი
## აურზაური „ნორჩი დინამოელისა" და მეაბრეშუმეობის გამო

ბოლო დღეებში რედაქციაში ბევრი რეკავს და აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თბილისში „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლას და ბაზას გაუქმება ემუქრება, ჩვენ კი ვდუმვართ. გავრცელდა აზრი თითქოს, ტერიტორია, რომელიც „ნორჩ დინამოელს" უკავია მუშტაიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძველ მეპატრონეს, მეაბრეშუმეობის ინსტიტუტს სურს დაიბრუნოს. თუ გავითვალისწინებთ „ნორჩი დინამოელის" დამსახურებას ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში, ტრადიციებს და მომავლის პერსპექტივას, მართლაც სამწუხარო „ფაქტი" მომხდარა, მაგრამ საქმე თურმე სულაც არ არის ასე საგანგაშოდ, ყოველ შემთხვევაში, „ნორჩი დინამოელისთვის" სპორტული მოედნის წართმევას, თუნდაც კანონიერი გზით, არავინ ცდილობს, რასაც ოფიციალურად ადასტურებს მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გ. ნიკოლეიშვილი.

მაშ, რაშია საქმე, რატომ ატყდა აურზაური?

საქმე იმაშია, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად უჭირავს „ნორჩ დინამოელს" და ადრე ხსენებულ ინსტიტუტს ეკუთვნოდა, რამდენიმე ნაგებობაა. ინსტიტუტი კი ამჟამად მხოლოდ ერთ ავარიულ ორსართულიანი შენობის დაბრუნებას ითხოვს მიმდებარე „არასპორტული" 600-800 კვმ. ფართობით, მით უფრო, რომ ხსენებულ შენობაში ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომელიც ცხოვრობს ოჯახით.

მოკლედ, დავა გრძელდება და ალბათ საქმე სასამართლომდე მივა.

## ძოძუაშვილი ლატვიაში ქართველ ლეგიონს აფართოებს

ლატვიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის რეკომენდაციით რიგის უძლიერეს გუნდ „სკონტოში" ქართველ ლეგიონერებს — მეკარე სოსო გრიშიკაშვილს, მცველებს ლევან სილაგაძეს, ალექსანდრე რეხვიაშვილს, ნახევარმცველს არმაზ ჯელაძეს ამ დღეებში შეემატნენ კიდევ სამნი — ლევან კორღალაძე, ლუჯუმი ჯაბუა და ზაზა მენთეშაშვილი. მათ რიგის გუნდთან უკვე გააფორმეს სამწლიანი კონტრაქტი.

## როდის დაიწყება მეორე წრე, არავინ იცის



### კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ვაჟთა გუნდების ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში სავარაუდოდ 20 იანვარს განახლდება, თუმცა, ზუსტად ვერავინ გვეტყვის — ფედერაციის თავკაცების განცხადებით, მატჩები ჩატარდება მაშინ, როცა გაათბობენ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზს. მანამდე კი გუნდები შეძლებისდაგვარად ემზადებიან სხვადასხვა ნახევრადგაყინულ დარბაზში. სასიამოვნოა, რომ კვლავ განაახლეს ვარჯიშები საქართველოს 6-გზის ჩემპიონებმა — „ვითას" კალათბურთელებმა: 30 დეკემბერს გამართულმა ფედერაციის ალმასკომმა ჩემპინატიდან ადრე მოკვეთილი ეს გუნდი კვლავ დაუშვა იმ პირობით, რომ გამოტოვებულ სამ მატჩში მას წაგება ჩაეთვალა. მიუხედავად იმისა, რომ „ვითას" უკვე 4 წაგება აქვს (ყველა გამოუცხადებლობის გამო), ეს კოლექტივი მაინც რჩება ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად.

## ეს ონავარი ზეპი



TSB და TCB - რა კავშირი უნდა არსებობდეს ამ ორ აბრევიატურას შორის? რა და პირდაპირი: TSB ფიფას პრეზიდენტის იოზეფ (ზეპ) ბლატერის ინიციალები გახლავთ, TCB კი – ექსკავატორების გამომშვები ცნობილი ინგლისური ფირმა...

ინგლისის ქალაქ პრესტონში გადაწყვეტილია აშენდეს საფეხბურთო მუზეუმი, რომელსაც ფუნდამენტი სწორედ იოზეფ ბლატერმა ჩაუყარა - ფიფას პრეზიდენტი სპეციალურ ცერემონიაზე მიიწვიეს პრესტონში, რათა მას ექსკავატორ TCB-ს ჩამჩით პირველს მოეთხარა მიწა საფეხბურთო მუზეუმის ასაშენებლად გამოყოფილ ფართობზე. ამავე ადგილას აშენდება თანამედროვე სტადიონი „Deepdale" პრესტონის საფეხბურთო კლუბისთვის და ეს სტადიონი იქნება აგრეთვე თავისებური სახლი ფიფას სამუზეუმო კოლექციისათვის.

... მიწის მოთხრის გარდა, ბლატერმა TCB-თი სიმბოლურად პირველი ქვაც დადო საფეხბურთო მუზეუმისათვის.

## ველოსპორტის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა

29 იანვარს, 12 საათზე, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში მოწვეულია საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა. ჩატარდება არჩევნები.

ველოსპორტის ფედერაცია

## სამხარეო სპორტული ორგანიზაციები

# პრობლემები თავისთავად არ გადაწყდება

იმ ახალშექმნილ სამხარეო სპორტულ ორგანიზაციებს შორის, რომლებმაც, ახალ სტრუქტურაში მუშაობის სიძნელეების მიუხედავად, აქტიურად დაიწყეს საქმიანობა, ერთ-ერთი სამაგალითოა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ოლიმპიური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ გამოცდილი ორგანიზატორი ოთარ ჭითანავა აირჩიეს. „ლელოს" თხოვნით მან პასუხი გაგვცა რამდენიმე შეკითხვაზე.



● ***ბატონო ოთარ, ყველამ იცის, რომ დღეს არა მხოლოდ ახალშექმნილ უწყებებს, დიდი ტრადიციებისა და გამოცდილების ორგანიზაციებს უჭირთ სიძნელეებთან გამკლავება, გაგიჭირდათ პირველი ნაბიჯების გადადგმა?***

— მე იმ თაობას ვეკუთვნი, ყრმობიდან რომ ჰქონდა შესისხლხორცებული სპორტის სიყვარული. ამ სიყვარულით დავთანხმდი გავმხდარიყავი ჩვენს მხარეში ოლიმპიური მოძრაობის უხელფასო ხელმძღვანელი. რომ ვთქვა გალაღებული ვართო, ხომ არ ვიქნები მართალი, პრობლემები ყველგანაა, მთავარია, ფარ-ხმალი არ დაყარო. სამეგრელოს ბოლო წლებში მართლაც ძლიერ გაუჭირდა, მაგრამ, თამამად ვიტყვი,



სპორტული ცხოვრება არ ჩამკვდარა, უმძიმეს დღეებშიც არ შეწყვეტილა სპორტული მაჯისცემა. მწვრთნელებიც უხელფასოდ, ენთუზიაზმით მუშაობენ. მათი დიდი დამსახურებაა, რომ გვყავს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე თავგამოჩენილი ათლეტები, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები, რომლებიც სამხარეო მასშტაბის შეჯიბრებებმა წარმოაჩინეს.

● ***არის თუ არა ეტაპობრივი პრინციპი შეჯიბრებების ჩატარებისას შენარჩუნებული?***

— რა თქმა უნდა, არის. სამხარეო შეჯიბრებების შეტანა სპორტღონისძიებების კალენდარში ერთგვარ სტიმულად იქცა რაიონებისათვის, გამოცოცხლდა მუშაობა, ჩატარდა ადგილობრივი შეჯიბრებები ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად.

● ***გამოდის, რომ ადგილებზე მუშაობით კმაყოფილი ხართ...***

— მაგრამ ამას თვითკმაყოფილებად ნუ ჩათვლით. გული მწყდება, რომ რაიონებს, სპორტულ ორგანიზაციებს, მწვრთნელებს, სპორტსმენებს მათი თავდადების შესაფერისად ვერ ვეხმარებით. მაგრამ ისე ნუ გაიგებთ, თითქოს ყველა ერთნაირად გულმოდგინედ ეკიდება საქმეს. არიან ხელჩამოშვებულებიც, ზოგჯერ მათზე ვჯავრდები კიდეც, მაგრამ იქვე ვფიქრობ: „რას ერჩი, რას აძლევ და რას სთხოვ..." ლტოლვილთა სიმრავლე მთელ რეგიონში და განსაკუთრებით ზუგდიდში მძიმე სოციალურ ატმოსფეროს ქმნის, სამწუხაროდ, სიდუხჭირეს ხელოვნურად შექმნილი პროვოკაციებიც ემატება. ასე რომ, დღეს ლაპარაკია არა ახლის შექმნაზე, არამედ არსებულის შენარჩუნებაზე, ეს ეხება სპორტულ ტრადიციებსაც და ბაზებსაც, გნებავთ, კადრებსაც.

● ***მაგრამ ერთი სიახლე მაინც არის, გასახსნელად მზადაა ახალი სპორტული მაღაზია „ლელო", როგორც შევიტყვეთ თაოსნობა თქვენ გამოგიჩენიათ და სახელიც თქვენ შეგირჩევიათ...***

— სპორტულ ნაწარმზე მოთხოვნილება დიდია რეგიონში და გადავწყვიტეთ ზუგდიდის ცენტრში მთავარი მოედნის ერთ კუთხეში გაგვეხსნა სპორტული მაღაზია, რომელსაც „ლელო" ვუწოდეთ. სამწუხაროდ, მაღაზიის წარწერა შესაცვლელი გაგვიხდა — ამავე სახელწოდების გაზეთის საპატივცემოდ დავარქვით ეს სახელი და წარწერაც ზუსტად ისეთი უნდა იყოს, როგორც ეს გაზეთზეა.

● ***ძირითადად რა პროდუქციაზეა მოთხოვნა და იქნება თუ არა ფასები ხელმისაწვდომი?***

— ხარისხიან სპორტულ ნაწარმზე მოთხოვნა ნამდვილად დიდია, ბაზრობებზე უხარისხო, გამოუსადეგარი საქონელი იყიდება, თანაც, რაც ყველაზე საჭიროა, ვერ იშოვნი. თუ გინდა ვარგისიანი შეიძინო, თბილისში ან ბათუმში, სულაც საზღვარგარეთ უნდა წახვიდე. ჩვენი მიზანია სპორტული ნაწარმი შემოვიტანოთ შუამავლის გარეშე, უშუალოდ მწარმოებლისგან, რაც ფასებს ხელმისაწვდომს გახდის. იმედია, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და თბილისის სპორტნაწარმის ფაბრიკა, რომელსაც რომან რურუა მართავს, ამ საქმეში დაგვეხმარება.

აქვე გეტყვით, მაღაზიას ვაჭრობის გამოცდილი მუშაკი, ყოფილი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი როლანდ მაქაცარია ჩაუდგა სათავეში. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ რეგიონში ეს ერთადერთი სპორტული მაღაზია სანიმუშო გახდეს მთელს ქვეყანაში.

გისურვებთ წარმატებას!

**ესაუბრა ნუგზარ ქვანია,**
**„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში.**

## სადაურსა, სად წაიყვან...

# ანა დოლონაძის ძიება გერმანიის მოქალაქეობით დასრულდა

**საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ბატუტზე მხტომელი ანა დოლონაძე 3 წლის წინათ გერმანიაში გათხოვდა. გერმანელთა პატარძალი ამ ხნის მანძილზე მაინც საქართველოს სახელით ასპარეზობდა საერთაშორისო ტურნირებში. მაგრამ, როცა ბატუტზე ხტომა ოლიმპიური სახეობა გახდა და იგი სიდნეის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც შეიტანეს, გერმანიის ტანვარჯიშის ფედერაციის მესვეურნი მიეძალნენ ანას და გერმანიის მოქალაქეობაც მიაღებინეს. მით უმეტეს, ანას მეუღლეც, ყოფილი ბატუტისტი აქსელ ლილკენდაიც დაჟინებით სთხოვდა მეუღლეს, — უკვე დროა, გერმანიის ღირსება დაიცვაო. სპეციალურად „ლელოსთვის" მიცემული ინტერვიუც ანა დოლონაძემ ამ ამბის მოგონებით დაიწყო.**



ანა დოლონაძე

გერმანიაში გათხოვებისთანავე, გერმანიის ტანვარჯიშის ფედერაციის მესვეურნი მეტად გულთბილად მექცეოდნენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს 3 წელიწადი გერმანიაში ვცხოვრობდი, საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს ღირსებას ვიცავდი, მაგრამ საშეჯიბრო ხარჯებს გერმანული მხარე მინაზღაურებდა. ერთხელაც არ დაუყვედრებიათ და არ უთქვამთ — ფულს ჩვენ გაძლევთ და მედლებსა და დიდებას საქართველოს უხვეჭო. არც არავინ მაძალებდა, გინდა თუ არა, გერმანიის ნაკრებში გამოდიო. მაგრამ, როცა ოლიმპიური სახეობა გახდა ბატუტზე ხტომა, მაშინ მთხოვეს, იქნებ დაგეჩქარებინა და გერმანიის მოქალაქეობა მიგეღოო. ჩემი მეუღლეც ამას მეუბნებოდა. მით უმეტეს, ხედავდა, რომ სპორტს, უახლოეს მომავალში საქართველოში არაფერი ეშველებოდა. იმაზე ფიქრიც სისულელე იყო, რომ გერმანიის ტანვარჯიშის ფედერაცია ჰვლავაც გაიღებდა ფულს ჩემს დასაფინანსებლად საქართველოს ნაკრებში გამოსასვლელად. მეც არჩევანის საშუალება არ მქონდა და მივიღე გერმანიის მოქალაქეობა.

● ***ანა, შენი დონის ბატუტისტი თუ ჰყავთ გერმანელებს?***

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და ჩემი დონისა იქაურ ნაკრებში მართლა არავინ არის, ჩემს შემდეგ ყველაზე ძლიერი გოგონაა თინა ლუდვიგი, ხოლო ნიკოლ მაინცი და ემი ემგადერი მომავალში თუ გამიწევენ კონკურენციას.

გერმანელებმა იცოდნენ ჩემი ძველი წარმატებებისა და ტიტულების შესახებ, რომლებიც საქართველოს სახელით მოვიპოვე, მაგრამ მათ გერმანიის ნაკრებში ჩემი ახალი გამარჯვებები სჭირდებოდათ. აქაც გამიმართლა. აგვისტოში ინდივიდუალურ ხტომებში ევროპის ჩემპიონი გავხდი. ავსტრალიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავედი, ხოლო იქვე სინქრონულ ხტომებში თინა ლუდვიგთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონობა მოვიპოვე.

● ***ალბათ, თქმაც არ უნდა, საქართველოსთან შედარებით სპორტსმენებს მეტად ულხინთ გერმანიაში, თუნდაც, ანაზღაურების მხრივ.***

— აქ ცალსახა პასუხის გაცემა გამიჭირდება. სპორტის ზოგიერთ სახეობაში გერმანიაში მართლაც ზღაპრული ხელფას-ჰონორარებია, მაგრამ სხვისი ფული რა ჩემი დასათვლელია? ბატუტზე მხტომელებს დიდად არც იქ ანებივრებენ, რადგან არც ოლიმპიური სახეობა იყო და არც კომერციული ტურნირები ტარდება ჩვენთან, თუმცა საქართველოსთან შედარებაც არ შეიძლება. იქ თუ თავი არ დაზოგე, სტაბილურად იასპარეზე და კარგი შედეგები უჩვენე, თანხასაც სოლიდურს გამოიმუშავებ.

● ***მაინც, რამდენს?***

— ვთქვათ, მსოფლიოს ჩემპიონობისთვის 6000 მარკას, ევროპის ჩემპიონობისთვის ამის ნახევარს — 3000 მარკას.

● ***სხვა სტაბილური შემოსავალი არ გაგაჩნია?***

— პრემიების გარდა მაქვს ხელფასი ნაკრებში, მაგრამ ისიც არასტაბილურია, შედეგზეა დამოკიდებული. ვთქვათ, მაისში შესაძლოა 500 მარკა ავიღო, ოქტომბერში 2000. ამასთან, ქალაქ ზალცგიკერის ტანვარჯიშული კლუბის წევრი ვარ. მხოლოდ ამ კლუბში მაქვს გარანტირებული შემოსავალი.

● ***ბატუტზე ხტომის კვალიფიციური მწვრთნელები თუ არიან გერმანიაში?***

— მწვრთნელებს არა უშავს, ნაკრების მწვრთნელი გამოცდილი ბატუტისტია და რა ხანია იქაურ გუნდს თავკაცობს. მე მხოლოდ შეკრება-შეჯიბრებებზე მიწევს მასთან ურთიერთობა, ძირითადად ზალცგიკერის კლუბის მწვრთნელი უტა ლაქსენი მავარჯიშებს. უტა ლაქსენი ახალგაზრდა ქალია, გერმანიაში ავტორიტეტულ მწვრთნელად ითვლება. ჩემს აღმზრდელს ზაურ სულაშვილს როგორ შევადრი, ზაურ მასწავლებელი მსოფლიოს მასშტაბის სპეციალისტია, მაგრამ ლაქსენის მეშვეობით ფონს გავდივარ და ამას ჩემი შარშანდელი შედეგებიც ადასტურებს.

● ***სიდნეის ოლიმპიადაზე ბატუტისტებს კვოტა დაუწესეს — თითო ქვეყნიდან მხოლოდ 2 სპორტსმენი იასპარეზებს — ქალ-ვაჟი. ეს კი ყველა ბატუტისტს უმცირებს ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსს, მათ შორის შენც. ოლიმპიურ პერსპექტივაზე რას იტყვი?***

— რა მეთქმის. რაც არ უნდა მკაცრი ლიმიტი იყოს, მაინც უნდა მოვხვდე სიდნეიში. წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება და იქ გაირკვევა იმ 20 ბატუტისტი გოგონას ვინაობა, ვინც სიდნეიში იასპარეზებს. ძალიან მინდა, რომ იმ ოცეულში მე და რუსიკო ხოფერიაც მოვხვდეთ.

● ***ანა, შენი მეუღლე რას საქმიანობს?***

— მეუღლე, აქსელ ლილკენდაი ძველი ბატუტისტია და ერთგვარ კონსულტაციებსაც მიწევს, დიდად მეხმარება შეჯიბრების წინ. აქსელი ერთ-ერთ კომპიუტერულ ცენტრში მუშაობს, პროგრამისტია, მას ხშირად იწვევენ ხოლმე გერმანიისა და საერთაშორისო მასშტაბის ბატუტზე მხტომელთა შეჯიბრებებზე, იქაც კომპიუტერს უზის და სპორტსმენთა ნაჩვენებ შედეგებსა და კოეფიციენტებს აჯამებს. ფაქტიურად, ორივე სპორტს ვემსახურებით.

## ყოფნა. არყოფნა...

# საციგაო სპორტმა თავი გადაირჩინა?

დაესვა თუ არა წერტილი ჩვენში საციგაო სპორტს? ეს კითხვა გაჩნდა მას შემდეგ, რაც ლილეჰამერში, 1994 წელს, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენმა მოციგავეებმა კახაბერ ვახტანგიშვილმა და ლევან თიბილოვმა იასპარეზეს და მერე სპორტის ეს სახეობა, საქართველოში, მართლაც დავიწყებას მიეცა. ერთხანს იმასაც ამბობდნენ, თითქოს ჩვენი მოციგავეები რუსეთში გადავიდნენ და იქაური მოქალაქეობა მიიღეს. და აი, ამ დღეებში, სრულიად მოულოდნელი და სასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ — მოციგავეთა ზემოხსენებული წყვილი საქართველოს სახელით მსოფლიო თასის გათამაშების პირველ ეტაპში მონაწილეობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვახტანგიშვილს და თიბილოვს არც სამშობლო დაუტოვებიათ და არც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიუღიათ, ისინი ისევ განაგრძობენ ასპარეზობას და ჩვენი ეროვნული დროშის ერთგულნი რჩებიან.

ამ დღეებში ბაკურიანში ვეწვიეთ და იქ ბევრი რამ შევიტყვეთ დაწვრილებით.

— შარშან, მაისში, საციგაო სპორტის ფედერაცია შევქმენით, ცენტრად ბაკურიანი, ხოლო ფედერაციის პრეზიდენტად ჩვენივე კაცი ფელიქს ქუმარიტაშვილი ჯვირჩიეთ — გვითხრა მოციგავეთა უფროსმა მწვრთნელმა ზაალ გურეშიძემ.

ეროვნული ფედერაცია შარშანვე გაწევრიანებულა საერთაშორისო ფედერაციაში, რასაც საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩვენი სპორტსმენების მიწვევა მოჰყვა. ამ რამდენიმე თვის წინ მსოფლიო თასის I და II ეტაპის შეჯიბრებები გაიმართა ავსტრიასა და ინსბრუკში. საქართველოდან ვახტანგიშვილი-თიბილოვის წყვილი და ერთეულებში გარი ხეთაგური ჩაებნენ ასპარეზობაში. ეს უკანასკნელი მოიხსნა შეჯიბრებიდან, წყვილმა კი XX ადგილი დაიკავა 43 გუნდს შორის. მეორე ეტაპზე გასვლის უფლება მოიპოვა 23-მა გუნდმა. აქ კი ჩვენები X ადგილზე დარჩნენ. ფაქტობრივად, IV ადგილზე გავედით ქვეყნებს შორის აშშ-ს, გერმანიისა და ავსტრიის შემდეგ (ზოგიერთი ქვეყანა რამდენიმე გუნდით გამოდიოდა).

● ***ეს ადგილი იძლევა მე-3 ეტაპზე გასვლის უფლებას? — ვკითხეთ ზაალ გურეშიძეს.***

— რა თქმა უნდა. მაგრამ ვერც მესამე და ვერც მეოთხე ეტაპზე უსახსრობის გამო ვერ გამოვედით.

● ***წინა ეტაპებზე ვინ დაგაფინანსათ?***

— საერთაშორისო ფედერაციამ, რომლის შტაბბინა გერმანიაშია.

● ***ჩვენთან ყოველთვის იყო ინვენტარის პრობლემა, ციგები საიდან?***

— ციგებიც ფედერაციამ მოგვცა, გერმანიიდან საჩუქრად მივიღეთ აგრეთვე მიკროავტობუსი, რომლითაც დავდივართ შეჯიბრებებზე.

● ***საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანება და ასეთი ბარაქიანი დახმარება თავისთავად არ მოვიდოდა, ბაკურიანში ალბათ ფედერაციის წარმომადგენლებიც იქნებოდნენ და, როგორც წესი, ყველაფერს დაწვრილებით შეისწავლიდნენ.***

— დიახ, გვეწვია სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გერმანელი ვუნტერი, რომელიც საერთაშორისო ფედერაციაში ექსპერტი და უფროსი მწვრთნელია. ეს კაცი მოწადინებულია ყველგან დანერგოს საციგაო სპორტი, თქვენ წარმოიდგინეთ, ინდოეთშიც კი მიაღწია მიზანს. სხვათა შორის, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან იგი ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოს ეწვია. სტუმარი გაოცებული დარჩა ბაკურიანის შესაძლებლობებით, აქაური ბავშვების სპორტისადმი დიდი სიყვარულით.



ზაალ გურეშიძე

ზაალ გურეშიძესგან ისიც შევიტყვეთ, რომ ბაკურიანელებს თურმე დიდ დახმარებას უწევს ყოფილი უკრაინელი მოციგავე, ამჟამად აშშ-ის საციგაო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი დიმიტრი ჰელდი. ერთი ციგა ამ კაცს შეუძენია ჩვენებისთვის და მომავალში სხვა დახმარებასაც ჰპირდება.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს. სულ მალე ჩვენი მოციგავეები გაემგზავრებიან გერმანიაში, სადაც მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება, შემდეგ კი შვეიცარიაში მსოფლიო თასის ახალი გათამაშების ეტაპობრივ სტარტებში მიიღებენ მონაწილეობას, თუ კვლავ ფინანსური პრობლემა არ წარმოიქმნა.

**თ. თომაშვილი,**
**„ლელოს" სპეც. კორ., ბაკურიანი**

## დებიუტანტი



### გიორგი კოზანაშვილი

(სამთოსათხილამურო სპორტი)

***დაიბადა*** 1987 წ. ხაშურში
***სიმაღლე*** 131 სმ.
***წონა*** 30 კგ.
***სწავლობს*** ბაკურიანის საშ. სკოლის VI კლასში
***სათხილამურო*** სპორტში მეცადინეობს 5 წლის ასაკიდან
***მწვრთნელი*** გრიშა ასლანიანი
***თანატოლებში*** საქართველოს პირველობაზე გუდაურში დაიკავა I ადგილი
***ბაკურიანის*** თასზე II პრიზიორი
***„ლელოს"*** პრიზზე ტრამპლინიდან ხტომაში დაიკავა I ადგილი.

## კასპში გაიხსნა საჭადრაკო კლუბი

**შარშან, წლის ბოლოს კასპში, რაიონულ ცენტრში, პირველი საჭადრაკო კლუბი ამუშავდა. ამ რაიონში ჭადრაკის სწავლება, უშუალოდ სასწავლო დაწესებულებაში სკოლა-ინტერნატის ბაზაზე პირველმა დანერგა მარინე ყაბანაშვილმა, ეს თაოსნობა და რაიონის სპორტსკოლის ჭადრაკის სექცია გახდა ზემოხსენებული კლუბის ჩამოყალიბების წინაპირობა. კლუბის შექმნას აქტიურად დაუჭირა მხარი რაიონის გამგებელმა ზურაბ ქარუმიძემ და მისმა მოადგილემ გელა ქვრივიშვილმა. კლუბში ყველა პირობაა შექმნილი მოჭადრაკეთა მოსამზადებლად, გარდა ამისა, აქ ხშირად იკრიბებიან ჭადრაკის მოყვარულები.**

## «ლელოს» ფოტომატიანე

# მიხეილ მესხი–62









ქართული ფეხბურთის ერთ უბრწყინვალეს წარმომადგენელს მიხეილ მესხს 12 იანვარს დაბადებიდან 62 წელი შეუსრულდებოდა. ყველა ფეხბურთელისათვის მტკივნეულია აქტიური ფეხბურთიდან წასვლა და ტრიბუნაზე მაყურებელთა რიგებში გადანაცვლება. მაგრამ ადრე თუ გვიან, ეს ყველა ფეხბურთელის ხვედრია. მიხეილ მესხი (სურათზე ცენტრში) არასდროს გააცდენდა მშობლიური „დინამოს" მატჩებს...

# როცა სპორტი და ცრურწმენა განუყოფელია

## სპორტსმენებს რომ თილისმისა სჯერათ, ეს არახალია. დღეს უკვე ცნობილ ფაქტებს კიდევ რამდენიმეს დავუმატებთ

### კულჰარდი წრეს არტყამს



„ფორმულა-1"-ის პილოტებს თავისი წეს-ჩვეულებანი აქვთ, მაგრამ ამის შესახებ საჯაროდ არ ლაპარაკობენ. რომ არა ერთ-ერთი გერმანული ტელეარხის დაკვირვებული თვალი, ვერავინ შეიტყობდა იმ სიტუაციის შესახებ, რომელსაც ყოველი სტარტის წინ ასრულებს 1998 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი დევიდ კულჰარდი.

ბოლიდში ჩაჯდომამდე, დევიდი აუცილებლად რამდენჯერმე გარს შემოუვლის მანქანას საათის ისრის მიმართულებით. ხელს ურტყამს ბოლიდის ჯერ უკანა, შემდეგ წინა ნაწილს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მრბოლი მანქანაში ყოველთვის მარჯვენა მხრიდან ჯდება. როცა გამჭრიახმა ჟურნალისტმა პრესკონფერენციაზე კულჰარდს ჰკითხა: „რატომ მაინცდამაინც მარჯვნიდან? დევიდმა ორიგინალური პასუხი გასცა:

„ამას მაშინ შეიტყობთ, როცა მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები".

### აგასი გამელოტდა და... ცოლი მოიყვანა




ცნობილმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ანდრე აგასიმ უკვე სამჯერ გამოიცვალა წინასაშეჯიბრო წეს-ჩვეულება. კარიერის დასაწყისში იგი კორტებზე გამოდიოდა ქუდში, რომელსაც უკან კიკინა ჰქონდა მიბმული. მერე ერთი უცნაურობა დასჩემდა: ყოველი ტურნირის წინ მთელ ტანს იპარსავდა. ჰაერის წინაღობა რომ ადვილად გადავლახოო. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, თავდაპირველად ამ რიტუალმა გაუმართლა და შეჯიბრებებს იგებდა. და ბოლოს, როცა წარუმატებლად ათამაშდა, ადგა და... ცოლი შეირთო. ახლა გამარჯვების თილისმად აგასის თავისი მეუღლის – ცნობილი კინომსახიობის ბრუკ შილდის მატჩებზე დასწრება მიაჩნია.

### შუმახერის თილისმა – ხელთათმანი



გულშემატკივრები უკვე მიეჩვივნენ: როცა ფეხბურთელები მინდორზე გამოდიან, ხელით ეხებიან ბალახს, ეამბორებიან და პირჯვარს გადაისახავენ... მაგრამ ბევრი ამითაც არ კმაყოფილდება. 80-იანი წლების გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ცნობილი მეკარე ტონი შუმახერი ყოველთვის იცვამდა ორ წყვილ ხელთათმანს. ჯერ გაიკეთებდა ხოლმე მოქსოვილს, რომელშიც ჯეილობაში ეზოში თანატოლებთან უთამაშია, მერე კი ამ „ბედნიერ" ხელთათმანზე ნამდვილ საფეხბურთოს იცვამდა.

### შუკერი თასმებს არ ღალატობს




ფეხბურთის გულშემატკივრებს ვურჩევდი, როცა თვალს მიადევნებენ ჩემპიონთა ლიგის მატჩს მადრიდის „რეალსა" და კიევის „დინამოს" შორის, დააკვირდნენ ფორვარდ დავორ შუკერს. იგი ძალიან ხშირად ისწორებს გეტრებს. და ეს იმიტომ, რომ ხორვატ სპორტსმენს გეტრები დამაგრებული აქვს არა რეზინის სპეციალური სამაგრეებით, არამედ ჩვეულებრივი ზონარით. თურმე, მონდიალი-98-ის საუკეთესო ბომბარდირს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ხორვატიის ეროვნულ ჩემპიონატში გამოდიოდა, ერთ-ერთ თამაშში რეზინის სამაგრეები გაუწყდა და გეტრები ჩვეულებრივი ზონარით დაიმაგრა. წარმოიდგინეთ, ამის შემდეგ დავორმა სამი გოლი გაიტანა და ზონარს არ ღალატობს.

# რა ხდება რუსეთის ფეხბურთში...

### არტურ ვოსკანიანი „ალანიაში"

**22 წლის ნახევარმცველი არტურ ვოსკანიანი სომხეთის №1 ფეხბურთელადაა აღიარებული 1998 წლის სეზონის მიხედვით, როცა მან წარმატებით ითამაშა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში. რახან ეროვნული ჩემპიონატისათვის სპეციალისტებმა აშკარად „გადაზრდილად" ჩათვალეს, ვოსკანიანმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ვლადიკავკაზის „ალანიასთან".**

### მალოფეევი: სათაკილო არაფერია...

ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, შემდეგ კი მწვრთნელი ედუარდ მალოფეევი, რომელიც ადრე საბჭოთა კავშირის ნაკრებს ედგა სათავეში, სულაც არ თაკილობს დაბალ დივიზიონებში მუშაობას. შარშან მას არ გამოუვიდა ურთიერთობა მახაჩყალის „ანჟის" მესვეურებთან და ადრე დატოვა კლუბი, ახლა კი „ფკ ფსკოვს" (მეორე დივიზიონი) ამზადებს.

### სადირინი პირველი დივიზიონიდან იწყებს

**საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, შემდეგ კი რუსეთის უმაღლესი ლიგის მთელი რიგი კლუბების ხელმძღვანელი პაველ სადირინი ახალ სეზონს უკვე პირველი დივიზიონიდან იწყებს. იგი ყაზანის „რუბინს" ჩაუდგა სათავეში, რომლის წინაშე მხოლოდ ერთი ამოცანაა — გადავიდეს უმაღლეს დივიზიონში.**

### როცა ბევრი ფული გაქვს

მას შემდეგ, რაც ვიტალი შევჩენკო მოსკოვის „ტორპედოში" გადავიდა, ელისტის „ურალანმა" სწრაფად მონახა მისი შემცვლელი. უფრო სწორად, გუნდს დაუბრუნდა ცნობილი უკრაინელი მწვრთნელი, პაველ იაკოვენკო, რომელმაც 1997 წელს „ურალანი" უმაღლეს ლიგაში გაიყვანა, შემდეგ კი მოულოდნელად დატოვა იგი.

იაკოვენკომ უკვე ჩაატარა გუნდის პირველი შეკრება კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში (13-27 დეკემბერს).

### მიაღწევს „ლოკომოტივი" ნახევარფინალს?

მოსკოვის „ლოკომოტივი" თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში ქ. ხაიფის „მაკაბის" უნდა შეხვდეს. რას ფიქრობს ამის შესახებ „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი იური სიომინი?

— ისრაელის ფეხბურთი ახლა აღმავლობას განიცდის. ამაზე მეტყველებს „მაკაბის"" გამარჯვება „პარი-სენ-ჟერმენთან", ისრაელის ნაკრების გამარჯვება იუგოსლავიის ნაკრებთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისრაელის ფეხბურთი სწრაფად უახლოვდება კარგ ევროპულ დონეს. მეტოქე კი ძლიერია, მაგრამ მასთან ბრძოლა შეგვიძლია. ყველაფერს გავაკეთებთ ნახევარფინალში გასასვლელად.

• *შეიძლება თასების მფლობელთა თასის მოგება?*

— ნუ ვიჩქარებთ. ახლა მთავარი ამოცანაა „მაკაბის" დამარცხება. შემდეგ ყველაფერი წილისყრაზე იქნება დამოკიდებული „ჩელსი" და „ლაციო" ჩვენზე ძლიერები არიან, თუმცა ფეხბურთში ყველაფერი ხდება.

• *„ლოკომოტივმა" „მაკაბის" შესთავაზა პირველი მატჩი მოსკოვში კი არ ჩატარდეს, არამედ ხაიფაში. რატომ?*

— მარტში მოსკოვში მინდორი საშინელ მდგომარეობაში იქნება. ჩვენთვის მინდორს დიდი მნიშვნელობა აქვს.

• *შეიძლება „ლოკომოტივი" ნახევარფინალში გავიდეს?*

— ჩვენ ჩინებული შესაძლებლობები გვაქვს.

ფირმა გთავაზობთ:

უცხოური წარმოების საბურავების დასაშლელ-ასაწყობ და ბალანსირების დანადგარებს, ფარების მარეგულირებელს, მანქანის კარებების მინების ელექტროამწევებს, ლუკებს, „MOMO"-ს ფირმის დისკებს სხვადასხვა მარკის ავტომობილებისთვის.

FAX. TEL: 23 00 96 2928 64 TEL. FAX.

ავტოსერვისის დანადგარების ექსკლუზიური იმპორტიორი. თბილისი, ჭავჭავაძის 49ა.

# ზინედინ ზიდანი: გუშინ, დღეს, ხვალ...

წლის მიწურულისათვის, ალბათ, არ დარჩენილა არც ერთი სოლიდური სპორტული გამოცემა, ზიდანზე რაიმე მასალა რომ არ გამოექვეყნებინა. კითხვებს მართლა რა გამოლევს

● ***ზინედინ, თქვენ 1998 წლის №1 ფეხბურთელად მიგიჩნიეს.***

— ეს ძალიან სასიამოვნო განცდაა, კმაყოფილების გრძნობას გაძლევს. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მოლოცვის ბევრი ზარათი მივიღე.

● ***„ონზ მონდიალის“ კონკურსში თქვენ ხმების დაახლოებით 80 პროცენტი მიიღეთ.***

— შესანიშნავი შედეგია, მაგრამ საფრანგეთის ნაკრებში ჩემი კოლეგების გარეშე მე რას მივაღწევდი... ზაფხულში მართლაც ჩინებული თვე გვქონდა, როცა მსოფლიო ჩემპიონები გავხდით. ვამაყობ იმით, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ სწორედ მე ამირჩიეთ. დიდი მადლობა.

● ***თქვენ რომ მიგეღოთ მონაწილეობა ამ კონკურსში, ვის მისცემდით ხმას?***

— საკუთარ თავს, იმის მიუხედავადაც კი, რომ არის საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი, რომლებიც ჩემზე ნაკლებად როდი იმსახურებენ აღიარებას.

● ***მაგალითად?***

— ალესანდრო დელ პიერო ისეთნაირად თამაშობდა „იუვენტუსში“, რომ აღტაცებას იწვევდა.

● ***გაქვთ თუ არა იმის შეგრძნება, რომ მსოფლიოში უძლიერესი მოთამაშე ხართ?***

— არცთუ სავსებით. მე ხომ იმდენი რამ მაკლია, პირველ რიგში, სტაბილურობა.

● ***შეიძლება კი მთელი წლის ერთნაირ მაღალ დონეზე ჩატარება?***

— ეტყობა, შეიძლება, მაგრამ მე ეს არ მეხება. ახლა ვმუშაობ, რათა რაც შეიძლება უფრო სტაბილური ვიყო.

● ***გავიხსენოთ 1998 წელი. როგორ უახლოვდებოდით მსოფლიო ჩემპიონატს?***

— უკვე იანვარში ვიგრძენი, რომ საგანგებო წელი გველოდა. შემდეგ იყო მატჩი საფრანგეთი-ესპანეთი, რითაც გაიხსნა „სტად დე ფრანსი“. მას შემდეგ, რაც 1997 წელს ამდენი იმედგაცრუება გვერგო, „სტად დე ფრანსის“ გასახდელში მოთამაშეებმა ერთმანეთს ვუთხარით (ამას ემე ჟაკეც ისმენდა), „გვეყოფა, წინ დავიძრათ“.

● ***ერთი სიტყვით, ეს იყო ათვლის წერტილი.***

— დიახ, და ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გვინდოდა ჩვენი შესაძლებლობები გულშემატკივრებისათვის გვეჩვენებინა, რომ შეგვიძლია მსოფლიო ჩემპიონატზე ღირსეულად გამოსვლა, ერთიანი კოლექტივი ვართ. ერთი სიტყვით, იმ საღამოს ჩვენ ბევრი რამ გვაერთიანებდა.

● ***თქვენ პირადად მოგეწონათ ეს საღამო?***

— რა თქმა უნდა. მე ხომ ესპანელებთან შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიტანე. ეს ის ნაკრები იყო, რომელიც აქამდე 4 წლის განმავლობაში არავისთან დამარცხებულა.

● ***ხომ არ გეშინოდათ, სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის წინ დაშავებისა, რაც თქვენ ამ ასპარეზობაში მონაწილეობის საშუალებას წაგართმევდათ?***

— სულაც არ მეშინოდა. იყო მომენტები, როცა თავში ასეთი აზრები მომდიოდა: მორჩა, დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია. მაშინ ასე გავიფიქრებდი ხოლმე, ცოტაც, ცოტაც და დავისვენებ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა იტალიის თასზე რამდენიმე შეხვედრა გამოვტოვე, არ მითამაშია ამხანაგურ მატჩებშიც. ამასთან, ვთამაშობდი იტალიის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაში, თავს არ ვიზოგავდი, ეს ხომ ის შეჯიბრებები იყო, სადაც ჩვენ უნდა გაგვემარჯვა.

● ***მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ თქვენ ბედნიერება გეწვიათ. თანაც კვადრატში ასული.***

— დიახ, თანაც სულ სხვადასხვანაირი ბედნიერება. ჯერ იყო და მეორე შვილი დამებადა, ბიჭი, რომელსაც ლუკა დავარქვი. მართალია, მასთან ყოფნისათვის დიდი დრო არა მქონდა, მაგრამ ვთვლი — მამობა დიდი ბედნიერებაა. შემდეგ, მეორედ, ზედიზედ, იტალიის ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ეს მე დიდხანს მემახსოვრება, რადგან ჩემპიონატის დაწყების წინ „იუვე“ ფავორიტად არ ითვლებოდა.

● ***მაგრამ იმედის გაცრუებაც ხომ გქონდათ?***

— დიახ, ზედიზედ მესამე ევროფინალში დავმარცხდით, ზედიზედ მეორედ კი ჩემპიონთა ლიგაში. ყველა გაზეთში წერდნენ, ზიდანი ის კაცია, რომელთანაც ერთალ ფინალებს ვაგებთო. ბოლოს და ბოლოს, ორი თვის შემდეგ დავამტკიცე, რომ ეს ასე არ იყო, ყველაზე დიდ ფინალში გავიმარჯვე.

● ***როგორ მდგომარეობაში შეუერთდით საფრანგეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის წინ?***

— ფიზიკურად დაღლილი ვიყავი, სეზონი გრძელი და მოვლენებით მდიდარი იყო. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, იგი მძიმე მქონდა. დავმარცხდით ჩემპიონთა ლიგის ფინალში. ამასთან, არ ვღელავდი, რადგან მოსამზადებლად, მოსაფიქრებლად, როგორ უნდა გვემოქმედა, საკმაო დრო გვქონდა... შეკრების დაწყებისთანავე ემე ჟაკესთან გულახდილად ვილაპარაკეთ, რაც საკმარისი იყო გონზე მოსასვლელად.

● ***შეიქმნა თუ არა ისეთი ატმოსფერო, რომ გმირობისათვის ემზადებოდით?***

— შესაძლებელია, ოღონდ პირველი დღიდანვე არა, მაგრამ პირველი მატჩის წინ რომ შეიქმნა, ეს ფაქტია. ჩვენ ვიცოდით, რომ თუ ერთად ვიქნებოდით, წარმატებასაც მივაღწევდით. როცა ფინელებთან უკანასკნელი მოსამზადებელი მატჩი ვითამაშეთ, გავიფიქრე, რომ საშინლად გავმწარდებოდი, თუკი



მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენსას არ მივაღწევდით.

● ***პირველ მატჩში სამხრეთაფრიკის ნაკრებს შეხვდით. რას ნიშნავდა თქვენთვის ეს მატჩი?***

— ძალიან ბევრს, რადგან მე მარსელში დავიბადე. ყოველთვის განსაკუთრებულ სიამაყეს ვგრძნობ, როცა მარსელის „ველოდრომის“ მინდორზე გამოვდივარ. „მონდიალის“ პირველი მატჩი — ტრიბუნებზე საზეიმო განწყობილებაა, მინდორზე კი — მით უმეტეს. წარმოიდგინეთ, მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში მონაწილეობ, ტრიბუნაზე ნათესავები, ახლობლები, მეგობრები არიან, მთელი უბანი, სადაც გავიზარდე. გიჟური თამაში იყო, კრისტოფის (დიუგარის) ულამაზესი გოლი, რომელსაც ბურთი კუთხურიდან მე ჩამოვაწოდე.

● ***ამასთან სიმბოლური გამოდგა.***

— სწორედ ეს ალამაზებს ფეხბურთს. არის აღმასვლა, ჩავარდნაც, მაგრამ საბოლოოდ სიამოვნება უფრო მეტია, ვიდრე იმედის გაცრუება.

● ***თქვენ საუდის არაბეთთან მეორე მატჩს გულისხმობთ?***

დიახ. ჯერ იყო და დიუგარიმ ტრავმა მიიღო. ცუდი განწყობილება შეგვექმნა. მაგრამ არბიტრმა მინდვრიდან გამაძევა. მე და დიუგა ერთმანეთს გასახდელში შევხვდით, მაგრამ სიტყვაც კი არ დაგვცდენია. მე იგი არ შემიწუხებია, მეც მჭირდებოდა გარკვეული დრო, რომ გონზე მოვსულიყავი.

● ***მაინც რაზე ფიქრობდით?***

— ჯერ ჩემს თავს ვუთხარი: „ეს შეუძლებელია“. ვერა და ვერ გავიაზრე, რატომ მიჩვენა არბიტრმა წითელი ბარათი. შემდეგ ვიფიქრე, რახან ასეა, თამაშის გამოტოვება მომიხდებოდა.

● ***თქვენი პარტნიორები?***

— არც მათ უხაროდათ, თუმცა შეძლებით არაბების დამარცხება. ყველაზე უარეს დღეში მაინც მე ვიყავი — მთელი გუნდი დავსაჯე. იყო ზურგსუკან ლაპარაკიც, პირში თქმაც. მომიხდა ზოგზოგთან ხმამაღალი საუბარიც. საერთოდ კი, ყველაფერი ეს დავიმსახურე კიდეც.

● ***როგორი იყო ორი მატჩის სათადარიგოთა სკამიდან ყურება? განსაკუთრებით კი საფრანგეთისა და პარაგვაის ნაკრებთა შეხვედრისა?***

— ეს ჩემთვის მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ძნელი მატჩი იყო. როგორ განვიცდიდი? ისე მინდოდა მინდორზე გამოსვლა, უარეს შემთხვევაში მეგობრებისათვის რაიმეს კარნახი. დრო კი გაიწელა. მსაჯმა დამატებითი 30 წუთი დანიშნა. ძალიან მეშინოდა, ერთ გოლს ჩვენთვის ყველაფრის წართმევა შეეძლო.

● ***როცა ბლანმა გაიტანა ეს გოლი, თქვენ აპატიეთ საკუთარ თავს? ამით ხომ თქვენი დისკვალიფიკაცია დამთავრდა.***

— წარმოდგენაც არ მინდა, რა მოხდებოდა, ეს მატჩი რომ ჩვენი დამარცხებით დამთავრებულიყო, ყველა საუდის არაბეთთან მატჩის შემდეგ ჩემზე მიუთითებდა.

● ***თქვენ ასე გეჩვენებოდათ?***

— ბუნებრივია, მე ამას ბევრი ადამიანის თვალებში ვკითხულობდი. საბედნიეროდ, იყვნენ სხვა გულშემატკივრებიც, რომლებიც ჩემთან მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ: „არაფერი არ მომხდარა, დაბრუნდები, გოლს გაიტან!“ ეს კი, რა თქმა უნდა, ძალას მმატებდა. გარდა ამისა, მე მჯეროდა ჩვენი გუნდისა, ზიდანიც რომ არ ყოფილიყო, გუნდი ისედაც ითამაშებდა, მან ხომ ეს დაამტკიცა კიდეც.

● ***ამავე დროს ზოგი იმასაც ამბობს, რომ მსოფლიო ჩემპიონატი თქვენ „ნახევარი შესაძლებლობებით“ ჩაატარეთ.***

— არა, ამ აზრს ვერ გავიზიარებ.

● ***ეტყობა, დიდი მოთამაშეების ძალა — გადამწყვეტ მომენტში გაუძლვეს საკუთარ გუნდს.***

— დიდ მოთამაშეებზე არ ვლაპარაკობდი, მაგრამ ფინალის წინ მე პირადად ამნაირი სურვილი ნამდვილად მქონდა. მით უმეტეს, რომ შეჯიბრების ბოლომდე სულ ერთი მატჩიღა რჩებოდა. ჩემი პირველი გოლი სიმბოლური გამოდგა: მასში მთელი ჩემი ნებელობა და სპორტული ჟინი ჩავაქსოვე, ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა. ასეთ ბურთს ვეღარასოდეს გავიტან, მით უმეტეს, რომ თავით თამაში არ მეხერხება. მაგრამ, მაშინ გოლის გატანაში, როგორც მოგახსენეთ, ყველაფერი ჩავაქსოვე. იმ მომენტში, როცა ბურთი ჯერ კიდევ არა მქონდა მიღებული, უკვე ვიცოდი: ტაფარელს მისი ბადიდან გამოტანა მოუხდებოდა.

● ***ზინედინ, არ გაგიკვირდათ, რომ ასეთი ძლიერი მეტოქე იოლად დაამარცხეთ?***

— გაიხსენეთ კიდევ ერთხელ ეს მატჩი. ჩვენ სამი გოლი გავიტანეთ!

● ***გადამწყვეტი მატჩის წინ, ცენტრალურ წრეში რომ იმყოფებოდით, ძალიან დიდი დრო დაუთმეთ კონცენტრაციას. თვალები დახუჭული გქონდათ. საინტერესოა, რაზე ფიქრობდით?***

— მაინცდამაინც არაფერზე. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ჩემთვის მთავარი წინასამატჩო რიტუალი კი არ იყო, არამედ მატჩისშემდგომი.კიბეებზე რომ ჩადიხარ, ცოლს უნდა მოეხვიო, პატარა ბავშვი ხელში უნდა აიყვანო, აკოცო. როცა მე ბავშვი ვნახე 12 ივლისს გვიან ღამით „სტად დე ფრანსის“ ტრიბუნებსძირა შენობაში, მივხვდი, მის გარდა ჩემთვის არაფერი არსებობს. მე მსოფლიო ჩემპიონი ვარ, ორი გოლი გავიტანე და ორივე ჩემმა შვილმა — პატარა ზიდანმა საკუთარი თვალით ნახა.

● ***ფინალური მატჩი კიდევ ერთხელ თუ ნახეთ?***

— არაერთხელ. მე ჩემპიონატის ყველა მატჩის კასეტა მაქვს.

● ***როგორ ფიქრობთ, ამნაირი ბედნიერება შეიძლება კიდევ სხვა დროსაც გეწვიოთ?***

— იმედი მაქვს, კიდევ მექნება წარმატებები სპორტშიც და ცხოვრებაშიც; მაგრამ ასეთი, ალბათ აღარ განმეორდება.

● ***ამას იმიტომ ამბობთ, რომ მალე საპატიო ორდენის კავალერიც გახდით?***

— არა, თუმცა ამასაც ჰქონდა ჩემთვის დიდი მნიშვნელობა. ჩემი ქვეყნის უმაღლესი ჯილდოს მიღება, როცა ამას თვით პრეზიდენტი გადმოგცემს, ესაუბრები მას, ეს უკვე ოცნების ასრულებაა.

● ***„მონდიალის“ ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი?***

— ასეთი უამრავი იყო. პირადი განცდა — როცა მატჩის შემდეგ შვილს გადავეხვიე. ყველაზე დასამახსოვრებელი კი, როცა ხელში მსოფლიო თასი ავიღე და მთელ მსოფლიოს დავანახვე.

● ***ვისთვის გინდოდათ მსოფლიო თასის მიძღვნა?***

— არ შეიძლება მისი ერთი რომელიმე ადამიანისათვის მიძღვნა. ისეთი კი, რომელსაც შემიძლია ვუთხრა „ეს შენთვის მომიძღვნია“, ბევრია. პირველ რიგში ამას მაინც ჩემს შვილს ვეტყოდი. სწორედ ამ მატჩის შემდეგ იყო, რომ მან ფეხბურთის თამაში დაიწყო. უკვე ცდილობს ბურთის დარტყმას. მხოლოდ ბურთზე ფიქრობს.

● ***მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებამ შეგცვალათ თუ არა?***

— არა, რაც ვიყავი, ისეთივე დავრჩი. ის საოცრება, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ, ჩვენს არსებაშია. ამიტომ ყველანი უცვლელნი დავრჩით. მე ტურინში მთლიანად დამშვიდებული დავბრუნდი. ისე, რომ ფეხბურთში მუდმივი არაფერია.

● ***გეხმარებათ თუ არა მსოფლიო ჩემპიონობის წოდება და ტრიუმფის გახსენება, ვთქვათ, ყოველდღიურ ცხოვრებაში?***

— მეხმარება. ხანდახან ძალიან სუსტად თამაშობ, მაგრამ უკვე გახსენდება, რომ მსოფლიო ჩემპიონი ხარ და სათანადო დონეზე უნდა იყო.

● ***აქვს თუ არა მომავალი საფრანგეთის ნაკრებს?***

— ახლა ყველაზე ძნელი რამ იწყება — უნდა დავამტკიცოთ, ვინა ვართ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად არის. ჩვენ მოვხვდებით ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალში და შევეცდებით იქაც დავიკავოთ პირველი ადგილი. არ იფიქროთ, რომ ჩვენი „მთვლელი“ თითქოს მსოფლიო ჩემპიონატზე შეჩერდა.

● ***რას იტყვით ნაკრების მწვრთნელის შეცვლაზე?***

— ეს გახლავთ ერთი და იმავე იდეის გაგრძელების ფორმა. ახლა ლემერს ნამდვილად თავის ტკივილი აქვს. მისმა გუნდმა ყოველთვის უნდა მოიგოს, ჩვენ ხომ დასაცავი ბევრი რამ გვაქვს.

● ***საფრანგეთის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები უცხოეთში გამოდიან.***

— არა, რატომ. ასე რომ ვილაპარაკოთ, მაშინ გამოდის, რომ საფრანგეთში სუსტი მოთამაშეები დარჩნენ. მაგრამ ისინი ხომ კარგები არიან. თუმცა, პირადად ჩემზე თუ ვიტყვით, „იუვენტუსში“ თამაში მსოფლიო ჩემპიონატისთვის საუკეთესო სამზადისი გამოდგა.

● ***მაინც რა მოგცათ „იუვენტუსმა“?***

— ძალზე ბევრი რამ. უპირველეს ყოვლისა, იმ სფეროში, სადაც მე აქამდე პრობლემები მქონდა — ფიზიკურ მომზადებას ვგულისხმობ, ტაქტიკური თვალსაზრისითაც შევიცვალე და ტექნიკურითაც. იტალიაში ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, სპორტული შედეგისაკენ მივისწრაფით, ყოველთვის საჭიროა მოგება, სახელის გამართლება. ეს მოტივაციას, პროგრესისაკენ მისწრაფებას გვაძლევს. ვცდილობთ, სულ უკეთ და უკეთ შევასრულოთ დასახული ამოცანები.

● ***თქვენ რომ მწვრთნელი იყოთ, ზიდანი კი თქვენი მოთამაშე, რას ეტყოდით მას?***

— მე, ამ მოთამაშეს ვეტყოდი, რომ საჭიროა უფრო სტაბილური, მინდორზე უფრო მიზანსწრაფული, უფრო დიდი ტაქტიკოსი იყოს.

● ***ზინედინ, საიდანა გაქვთ ასეთი ტექნიკა?***

— ეს საკუთარ თავზე სისტემატურმა მუშაობამ, ცდებმა მომცა. იყო დრო, როცა ბურთს საერთოდ არ ვიშორებდი. გავიღვიძებდი თუ არა, ხელს წავავლებდი ბურთს და საღამომდე განუყრელი ვიყავი მასთან. თუ მატჩები არა გვქონდა, ბიჭებთან ვთამაშობდი, ვვარჯიშობდით კომბინაციებში „ერთი ორის წინააღმდეგ“, „ორი ერთის წინააღმდეგ“, „ორი ორის წინააღმდეგ“. გარდა ამისა, ბევრ მატჩს ვესწრებოდი, რასაც ვნახულობდი და დავიმახსოვრებდი, ვცდილობდი პრაქტიკაში გამომეყენებინა.

● ***რომ გთხოვოთ იდეალური მოთამაშის პორტრეტის დახატვა, როგორ უნდა გამოიყურებოდეს იგი?***

— დიდი ფეხბურთელი ბევრია, მაგრამ მარადონას ჩემს იდეალად ვთვლი. გაიხსენეთ მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატი. არც მანამდე, არც მის შემდეგ არა ყოფილა ისეთი მოთამაშე, რომელიც ბურთს მინდვრის ცენტრში იღებდა, გაივლიდა მოწინააღმდეგის მთელ მოედანს და გოლს გაიტანდა.

● ***მაგრამ თქვენც ხომ მსოფლიო ჩემპიონი და აღიარებული სუპერვარსკვლავი ხართ...***

— შესაძლებელია, მაგრამ სჯობს საგნებს თავისი სახელი დავარქვათ. დიეგო ზევითაა, მე კი ქვევით, არცთუ მთლად ძირში, მაგრამ მარადონამდე იმდენი მანძილია, რამდენიც მთვარემდე.

მოამზადა
ბიბი ბამრეკელმა


1974 წ. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი
მარცხნიდან: ბეკენბაუერი, მეკარე მაიერი, კრუიფი


ედსონ არანტეს დო ნასიმენტო (პელე)

# საუკუნის რჩეული ფორვარდები არიან

## საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ ჩაატარა საუკუნის რჩეული მოთამაშეების გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჟურნალისტები და ექსპერტები

ევროპის კონტინენტის რჩეულმა *იოჰან კრუიფმა* 753 ქულა მოაგროვა, ამავე კონტინენტის სხვა ფეხბურთელებმა – *ფრანც ბეკენბაუერმა* – 709, *ალფრედო დი სტეფანომ* – 708, *ფერენც პუშკაშმა* – 667, *მიშელ პლატინიმ* – 505, *ეუსებიომ* – 370, *ბობი ჩარლტონმა* – 303, *სტენლი მეტიუზმა* – 282, *გერდ მიულერმა* – 249, *მარკო ვან ბასტენმა* – 240.

**სამხრეთ ამერიკის** საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს ბრაზილიელი *პელე*.

**აფრიკის** რჩეულია „მილანის" ფორვარდი, ლიბერიელი *ჯორჯ ვეა*.

**აზიის** საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია კორეელი ფორვარდი *ბუმ კუნ ჩა*.

**ოკეანიის** რჩეული გახდა ახალი ზელანდიელი ფორვარდი *ვინტონ რუფერი*.

**კონკაკაფის ზონაში** გამოკითხულებმა პირველი ადგილი მიაკუთვნეს მექსიკელ თავდამსხმელ *უგო სანჩესს*.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ოგნენოვიჩი – „რეალის" ახალი შენაძენი

**როგორც ბელგრადსა და მადრიდში ერთდროულად გამოცხადდა, „ცრვენა ზვეზდას" თავდამსხმელი, 21 წლის პერიკა ოგნენოვიჩი ხუთწლიანი კონტრაქტით „რეალში" გადადის. მადრიდელებმა მასში 450 მილიონი პესეტი (3,2 მილიონი დოლარი) გადაიხადეს. წინასწარი ვარაუდით, ახალმა ფეხბურთელმა უნდა შეცვალოს დავორ შუკერი, რომელმაც წინადადება მიიღო გადავიდეს საბერძნეთის „პანათინაიკოსში".**

**პერიკა ოგნენოვიჩი იუგოსლავიის ფეხბურთის ვარსკვლავად ითვლება. 17 წლისას დებიუტი ჰქონდა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში", ერთი წლის შემდეგ კი უკვე ქვეყნის ნაკრებში გამოდიოდა. ასეთი განსაკუთრებული წარმატებებისათვის იუგოსლავიაში კარგა ხანია უკვე არავის მიუღწევია. 21 წლისა უკვე საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა. მაღალი არ არის (172 სმ), მაგრამ მეტისმეტად სწრაფია, ჩინებული დრიბლინგით. ჭერ სად არის! სპეციალისტები მოელიან, რომ ოგნენოვიჩს ნამდვილად ბრწყინვალე მომავალი აქვს. მან უეფას თასზე საშინელი დღე აყარა ვოლგოგრადის „როტორს", „ცრვენა ზვეზდას" მეოთხე ფეხბურთელია, რომელიც 1988 წლიდან მოყოლებული, მადრიდის „რეალში" გადავიდა. მანამდე იქ, წარუმატებლად თამაშობდნენ მილან იანკოვიჩი, რობერტ პროსინეჩკი და დეიან პეტკოვიჩი. გარდა ამისა „რეალში" გამოდიოდნენ ბელგრადის „პარტიზანის" მოთამაშეები პრედრაგ სპასიჩი და პრედრაგ მიატოვიჩი. თუმცა მიატოვიჩი ხომ ახლაც გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია.**

● რას ფიქრობს ოგნენოვიჩი „რეალში" გადასვლაზე?

**— ეს ჩემთვის ყველაფერია, რადგან ადრეც ბევრჯერ მითქვამს, რომ „რეალი" მსოფლიოს საუკეთესო გუნდია. მის შემადგენლობაში მოხვედრა ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, და მე, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არა ვარ.**

● თქვენ უკვე ითამაშეთ ერთად თქვენს მეგობარ მიატოვიჩთან?

**— ძალიან მინდა ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს. გარდა იმისა, რომ იგი დიდი ფეხბურთელია, ჩემი საუკეთესო მეგობარიც არის. ადრე ერთად გამოვდიოდით იუგოსლავიის ნაკრებში, ახლა კი მასთან თამაში ბედნიერებად მიმაჩნია. მსოფლიო ჩემპიონატის დროს ბევრჯერ ვისაუბრეთ მადრიდის „რეალზე", იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ კლუბს მსოფლიო ფეხბურთისათვის.**

● როგორც იცით, „მილანი" და „იუვენტუსიც" ცდილობდნენ თქვენთან ხელშეკრულების დადებას.

**— ეს ჩემთვის დიდი პატივია. ჩვენ ხომ ევროპის ყველაზე დიდ კლუბებზე ვლაპარაკობთ. მართალია, ისინი ყოველთვის იჩენდნენ ჩემდამი ინტერესს, მაგრამ ჩემი სიმპათიები ყოველთვის „რეალის" მხარეზე იყო.**

### „ბებერ სინიორას" ანჩელოტი გაუძღვება

მაშ ასე, უკვე გადაწყვეტილი ამბავია და ამის შესახებ ამ დღეებში ოფიციალურად განაცხადა ტურინის „იუვენტუსის" კლუბის პრეზიდენტმა უმბერტო ანიელიმ — მომავალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგის ბოლო სამი გათამაშების ფინალისტს სათავეში ჩაუდგება კარლო ანჩელოტი, რომელიც მარჩელო ლიპის შეცვლის.

39 წლის ანჩელოტი ადრე იცავდა „მილანისა" და „სკუადრა აძურას" ღირსებას.

### ბეკენბაუერის იმედი

**გერმანიაში ჩამოყალიბდა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატისათვის ბრძოლის კომიტეტი, რომელსაც ფრანც ბეკენბაუერი ხელმძღვანელობს. ბეკენბაუერს წარმატების მიღწევის დიდი იმედი აქვს.**

**— გერმანია ინარჩუნებს თავის პოზიციებს და ამ მომენტისათვის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლების მიღების უკეთესი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე ინგლისს.**

**როგორც „კაიზერ ფრანცმა" განაცხადა, ფეხბურთის სამშობლოს პრესტიჟი სერიოზულად შეარყია დიდმა სკანდალმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში, სადაც მთელი რიგი წამყვანი თანამდებობის პირებს, კორუფციაში გარეულებს, მოუხდათ თავიანთი პოსტების დატოვება.**

### „რეალს" განმტკიცება სჭირდება?

არგენტინის ნაკრების სათადარიგო მეკარემ ალბანო ბიცარიმ მადრიდის „რეალში" გადასვლის წინადადება მიიღო. მას 2,5 მილიონ დოლარს სთავაზობენ. ახალგაზრდა გოლკიპერი უახლოეს დღეებში ჩავა მადრიდში.

— მე ვიცი, რომ ესპანური ფეხბურთი მაღალი პროფესიონალიზმით ხასიათდება, ხოლო მადრიდის „რეალის" გულშემატკივრები ესპანეთში ყველაზე უფრო დიდი მომთხოვნელობით გამოირჩევიან. ამის მიუხედავად, მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, მჯერა, რომ დიდ კლუბს სარგებლობას მოვუტან.

### შორს გათვლილი გეგმაც ამას ჰქვია

**როგორც მიუნხენის „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, მისი კლუბი ძალიან შეეცდება შეიძინოს ერთ-ერთი საუკეთესო ინგლისელი ფეხბურთელი, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი. რუმენიგეს აზრით, მისი კლუბი ეროვნულ ჩემპიონატში პირველ ადგილზე კია, მაგრამ სწორედ ასეთი ტიპის სუპერვარსკვლავი აკლია.**

**გარდა ამისა, ბექჰემის განსაკუთრებულ ღირსებად მრავალნაცად რუმენიგეს ის მიაჩნია, რომ გარკვეული დროის შემდეგ იგი ჩინებული მწვრთნელიც უნდა გახდეს. აი შორს გათვლილი გეგმაც სწორედ ამას ჰქვია.**

### იუბილის წინა წელს

გაისად რომის განთქმულ კლუბ „ლაციოს" დაარსებიდან 100 წელი უსრულდება. 9 იანვარს, როცა მისი დაარსებიდან 99 წელი გავიდა, რომში დიდი ზეიმი ჩატარდა, სადაც მონაწილეობდა კლუბის შემადგენლობაში შემავალი კიდევ 25 (!) კოლექტივი.

„ლაციოს" ფეხბურთელთა კლუბის გარდა დიდი სახელი მოუტანეს აგრეთვე მძლეოსნებმა, ბეისბოლისტებმა, ტანმოვარჯიშეებმა და ფრენბურთელებმა, მოკრივეებმა და სხვა სახეობების სპორტსმენებმა.

უკვე დაიწყო დიდი, 100 წლის იუბილისათვის მზადება, როცა კლუბი აპირებს თავისებური მინი-ოლიმპიადის ჩატარებას.

### ვანენბურგის უკანასკნელი სეზონი

**როგორც კლუბ „მიუნხენ 1860"-ის წარმომადგენელმა განაცხადა, მიმდინარე სეზონი 34 წლის ჰერალდ ვანენბურგისათვის უკანასკნელი იქნება. იგი გულიტისა და რაიკაარდის მსგავსად, ტომით სურინამელია და ჰოლანდიის ნაკრებში 41 მატჩი აქვს ჩატარებული.**

**ის, რომ „მიუნხენ-1860"-ს ამ სეზონის ალმოჩენა უწოდეს — იგი ახლა ბუნდესლიგაში მესამე ადგილზეა — ვანენბურგის მეტად სტაბილური თამაშითაც უნდა აიხსნას. იგი ლიბეროს პოზიციაზე გამოდის, თამაშს კი თავს იმიტომ ანებებს, რომ მისი ჯანმრთელობა გაუარესდა.**

### ვიოლა – ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი

ბრაზილიის ჩემპიონატის №1 სნაიპერი გახდა ვიოლა („სანტოსი"), რომელმაც 21 გოლი გაიტანა და სხვა წამყვანი კლუბების ცხოველი ინტერესიც გამოიწვია. მისი დაუფლება განსაკუთრებით „ფლამენგოს" სურს, წარმომადგენელი ჟილმარ რინალდი მოლაპარაკების მიზნით უკვე იმყოფებოდა სან-პაულუში „ფლამენგოს" წინადადებით, იგი 4,2 მილიონ დოლარს გადაუხდის ფირმა „პარმალატს", ხოლო 0,8 მილიონ დოლარს თვით კლუბ „სანტოსს".

ვიოლას საწინააღმდეგო არაფერი აქვს: „რიოში ყოველთვის კარგად მხვდებოდნენ, ამ ქალაქში თამაში სიამოვნებას მგვრიდა. ახლა შვებულებაში ვარ და ვისვენებ". მან მადლობა გადაუხადა „სანტოსის" ხელმძღვანელობას, იმედი გამოთქვა, რომ „ფლამენგოში" რომარიოსთან ერთად თავდასხმაში მრისხანე ბლოკს შექმნის. ვიოლა თვლის, რომ „ფლამენგოდან" მისთვის უფრო იოლი იქნება ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრა.

### მოკლედ ნომრიდან – ნომრამდე

● **ბრაზილიის** ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა სებასტიანო ლაზარონიმ ჩინურ კლუბ „შანხაი შენხუასთან" ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი ამ პერიოდში 600 ათას დოლარს მიიღებს.

● **ესპანურ „სელტას" მოლაპარაკება აქვს ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედთან" სახელგანთქმულ იოჰან კრუიფის ვაჟის — დროებით დათმობის თაობაზე.**

● **იტალიურმა** „ვენეციამ" „ინტერისაგან" ურუგვაელი თავდამსხმელი ავარო რეკობა ითხოვა.

● **საქართველოს ნაკრების მეტოქე ევრო-2000-ის შესარჩევ ჯგუფში — ნორვეგიის ეროვნული გუნდი ისრაელში, სამთა ტურნირზე ითამაშებს: მასპინძლების გარდა იქ ესტონელებიც გამოვლენ.**

● **ბულგარელმა** ვარსკვლავმა, 33 წლის ფორვარდმა ხრისტო სტოიჩკოვმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თავს ანებებს აქტიურ სპორტს. ხანგრძლივი კარიერის მანძილზე იგი გამოდიოდა სოფიის ცსკა-ში, „ბარსელონაში", „პარმაში" და იაპონურ „კაშივა რეისოლში", 11 წელი იცავდა ეროვნული ნაკრების ღირსებას, ხოლო 1994-ში ევროპის რჩეულ ფეხბურთელადაც დაასახელეს.

● **კიევის „დინამოს" პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამ გუნდის მცველ ოლეგ ლუჟნის ტრანსფერი ლისაბონის „ბენფიკაში" შეჩერებულია, ვინაიდან პორტუგალიურმა კლუბმა არ შეასრულა თავის თავზე აღებული ვალდებულება.**

● **იტალიური** „ინტერის" ნიგერიელი ფორვარდი ნვანკო კანუ ლონდონის „არსენალში" გადადის. ფეხბურთელის სატრანსფერო თანხა 4 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

● **გერმანული პრესის ცნობით, „ფიორენტინას" იტალიელი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი მომავალი სეზონიდანი თანახმაა დაბრუნდეს სამუშაოდ მიუნხენის „ბაიერნში".**

# ჯეკი ჩანი ლამაზ სიკვდილზე ოცნებობს

აღმოსავლური ორთაბრძოლების სახელგანთქმული ოსტატის ჯეკი ჩანის ეკრანზე გამოჩენილი თავდადების შემხედვარე მაყურებელი, როგორც წესი, განცვიფრებას ვერ მალავს. თავად ოსტატმა კი ახლახან საკუთარი საქციელი ძალზე მარტივად ახსნა: უბრალოდ, ლამაზი სიკვდილი მინდაო. „ხანდახან ვფიქრობ, რომ მალე მოვკვდები და ისეთივე ლეგენდა გავხდები, როგორიც ბრიუს ლი იყო, ამაყად აცხადებს კარატისტი. – მაგრამ თუ ფილმებში გადაღებას 60 წლამდე ბედნიერად და უპრობლემოდ გავაგრძელებ, მაშინ ჭეშმარიტად სახელგანთქმული ნამდვილად ვერ გავხდები, რადგან მოწიწებით არავინ მომიგონებს".

მაგრამ, ჯერჯერობით, „ლამაზად სიკვდილს" ჯეკი ვერაფრით ახერხებს, თუმცაღა, სხეულზე პატარა ძვალსაც კი ველარ უპოვნით, ერთხელ მაინც რომ არ ჰქონდეს მოტეხილ-გატეხილი. ზოგიერით კი ორ-სამჯერაც მოუტეხია. ოღონდ, ყველაზე ცნობილი კინომსახიობი გამხდარიყო.

ჩანი დუბლიორების გარეშე მუშაობს, რითაც პროდიუსერებს კარგა მოზრდილ თანხებსაც აზოგვინებს. მისი საყვარელი სასიკვდილო ნომრები მანქანებით გადაძეძგილ შოსეებზე გადარბენა, შენობებიდან სარკიან სახურავებზე ჩამოხტომა და მათი ჩანგრევაა. როცა საშიში გადაღებები იწყება, ჯეკი ცოლ-შვილს სადმე შორს აგზავნის. მიუხედავად იმისა, რომ მისი ახალი ამერიკული ბოევიკი უკვე აშშ-ს კინოგაქირავების ლიდერი გახდა, ჯეკი მაინც აზიატურ ფილმებში გადაღებას ამჯობინებს. ამას იმით ხსნის, რომ ამ ფილმებში უსაფრთხოების ზომებს ნაკლებად იღებენ და, ამდენად, სიკვდილიც ბევრად უფრო ადვილი შესაძლებელიაო. „ზოგიერთი ადამიანი, სიამოვნების მისაღებად, ალკოჰოლს სვამს, სხვები ნარკოტიკებს იღებენ, მე კი ასეთ სიამოვნებას სასიკვდილო ტრიუკების შესრულება მანიჭებს. კარგად მაქვს შეგნებული, რომ გადაღებების დროს სიკვდილი ის ერთადერთი შესაძლებლობაა, რომელიც ისევე სახელგანთქმულს მაქცევს, როგორიც ბრიუს ლი იყო და, რომელსაც ჯერჯერობით, მაინც ჩემზე წინ აყენებენ". – აცხადებს კარატისტი.

**TV პროგრამიდან.**

## ბაკურიანი – ოჯახური სასტუმრო საუკეთესო პირობებით



ეს 15-ადგილიანი ოჯახური სასტუმრო, ბაკურიანში, 9 აპრილის 46 ნომერში გახსნა საკუთარ ბინაში გივი ფილაურმა.

სასტუმროს აქვს მუდმივი გათბობა და განათება, ცხელი და ცივი წყალი, სანიტარული კვანძი, ჰოლი ტელევიზორითა და ვიდეოთი, სამზარეულო.

ღირებულება 1 ადგილი, კვებით, დღეში 20 აშშ $-ის შესატყვისი ლარი.

# ჰასტინგსის საახალწლო

74-ედ გაიმართა ჰასტინგსის (ინგლისი) ტრადიციული საახალწლო ფესტივალი. მთავარ ინტერესს, როგორც ყოველთვის, ძირითადად დიდოსტატთა ტურნირი იწვევდა.

პირველი პრიზი დიდი უპირატესობით, 9 შესაძლებლიდან 7 ქულით მოიპოვა ბოსნიელმა დიდოსტატმა ივან სოკოლოვმა, რომელიც ახლა ჰოლანდიაში ცხოვრობს. დიდხანს მეორე ადგილზე იყო დიდოსტატი სერგეი შიპოვი (რუსეთი), მაგრამ ბოლო პარტია წააგო და შეჯიბრება 5 ქულით დაასრულა. ამდენივე ქულა მოაგროვეს ინგლისელებმა მეტიუ სადლერმა, ჯონათან სპილმენმა, ჯონ ემსმა და უკრაინელმა ჭაბუკმა რუსლან პონომარიოვმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ენტონი მაილსი, ჯიმ პლასკეტი (ორივე — ინგლისი), და ლორან ფრესინე (საფრანგეთი) — 3,5-3,5 ქულით. მიხაილ სალტაევი (უზბეკეთი), 2,5 ქულა. ბოლო მეათე ადგილზეა.

# „ევროპა-99"

*ნიდერლანდების ქალაქ ჰენერვენის ცნობილ „ტიალფას" სარბიელის ყინულის ბილიკებზე გასულ კვირას გამოვლინდნენ ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები. ვაჟთა მრავალჭიდში უძლიერესის სახელი მოიპოვა მასპინძელმა რინტიე რისტმა, იგი პირველად დაეუფლა ამ წოდებას. ვერცხლის მედალი წილად ხვდა იტალიელ რობერტო სიგელს, მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა რუსი მოციგურავე დიმიტრი შეპელი. რეიტერის ფოტოზე თქვენ ხედავთ „ევროპა-99"-ის ჩემპიონსა და პრიზიორებს.*



*რაც შეეხება ქალებს, წლევანდელ ჩემპიონატში არ უნდა გამოსულიყო ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სახელგანთქმული გერმანელი რეკორდსმენი მოციგურავე გუნდე ნიმან-შტირნემანი, რაც მისმა მეუღლემ და მწვრთნელმა, აგრეთვე მენეჯერმა იმით ახსნეს, რომ მას წინასწარ ჰქონდა დადგეგმილი ეს, რადგან „ტიალფას" საციგურაოს ვერ „მოერგება" ჩემპიონობისათვის რომ იბრძოლოს და მთელი ყურადღება ხამარის მსოფლიო ჩემპიონობისათვის გადაიტანაო. სინამდვილეში სპორტსმენს ახალი წლის წინ ვირუსმა დარია ხელი და ანტიბიოტიკებით იპურნებოდა ინფექციისაგან, რის გამოც დაჰკარგა სპორტული ფორმა.*

* * *

*ამასობაში შესაშური მომზადება გამოავლინა ორგზის ჰოლანდიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მარიანა ტიმერმა, რომელმაც „ევროპა-99"-ის წინ ინცელის საციგურაოზე 500 მეტრი 39,60 წამში გაირბინა და თავისივე მსოფლიო რეკორდი – 39,65 გააუმჯობესა და 1000 მეტრზე რბენაშიც გაიმარჯვა.*

*გუნდე ნიმანი მაინც გამოვიდა „ტიალფაზე" და კარგადაც „მოერგო" სარბიელს – გაიმარჯვა 5000 მეტრზე ბრძოლაში.*

*მრავალჭიდში კი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, უძლიერესია მარიანა ტიმენი.*

## კვიმატი ობიექტივი



## რა ხდება ქვეყანაზე

# კორდა ვერდიქტის მოლოდინშია

ჩეხი ჩოგბურთელი კორდას შარშანდელი სკანდალის გამო, რაც იმიტომ მოხდა, რომ იგი უიმბლდონის ტურნირზე დოპინგის ხმარებაში ამხილეს, ახლა მოსვენება დაეკარგა, რადგან მას ალბათ საეჭვოდ მიაჩნია, რომ დაუშვან წლევანდელი „დიდი სლემის" გათამაშებაში, რომელიც ტრადიციულად, ავსტრალიის ღია პირველობით დაიწყება.

# დიდი ჯორდანი მიდის



დიახ, ნბა-ს საუკეთესო მოთამაშე, დიდ ჯორდანად წოდებული, რაც სულაც არაა გადაჭარბებულად ნათქვამი, ტოვებს სარბიელს. მის სიდიადეზე ნათლად მეტყველებს ციფრები. ჯერ მარტო ის თანხა, რომელიც მან კალათბურთს მოუტანა, მილიარდებს აღწევს. ამასთან, იგი ნბა-ს ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა — 31,5 ქულა საშუალოდ ერთ მატჩში, 6-ჯერ იყო სეზონის საუკეთესო კალათბურთელი, „ოლ სთარზის" 6 მატჩში 3-ჯერ საუკეთესოდ აღიარეს.

მისი თამაშის მაღალ კლასზე ნათლად მეტყველებს აგრეთვე შერქმეული სახელი „ჰაეროვანი ჯორდანი", რითაც ყველაფერია ნათქვამი...

# რეჯიო — ემილია, 41-ე

10 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა რეჯიო-ემილიას (იტალია) ტრადიციულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში.

7 ქულით გაიმარჯვა დიდოსტატმა სერგეი სოლოვჯენკინმა (რუსეთი). მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს დიდოსტატებმა დმიტრი კომაროვმა (უკრაინა) და სმბატ ლპუტიანმა (სომხეთი). ყოფილმა თბილისელმა, ახლა კი იტალიის ჩემპიონმა იგორ ეფიმოვმა 4,5 ქულით მეხუთე ადგილი დაიკავა.

# მოროზევიჩი ზედიზედ იგებს

ესპანეთის ქალაქ პამპლონაში მეცხრედ ჩატარდა საახალწლო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

მოსკოველი დიდოსტატი ალექსანდრ მოროზევიჩი შარშან იგებდა ყველა ტურნირს, სადაც კი მონაწილეობდა. მან არც ახლა უღალატა ჩვეულებას და 9 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი პრიზი მოიპოვა. მეორე ადგილზე გასულმა მიხაილ კრასენკოვმა 6 ქულა მოაგროვა. მესამე ადგილი კი 5 ქულით ლიუკ ვან ველიმ (ჰოლანდია) დარჩა. 4,5-4,5 ქულა მოაგროვეს მიგელ ილესკასმა (ესპანეთი) და ემილ ხუტოვსკიმ (ისრაელი), 4 ქულა — მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა და ახლანდელმა პრეტენდენტმა სიე ჯუნმა (ჩინეთი).











**თარაზულად:** 5. ქართველი ბატუტზე მხტომელი ქალი (ფოტო), 7. „იუვენტუსის" ფეხბურთელი (ფოტო), 8. ბელგიის საფეხბურთო კლუბი, 11. „ჩელსის" იტალიელი მოთამაშე მწვრთნელი, 14. „ლივერპულის" ფეხბურთელი, 15. ახლო წარსულში ქართველი საფეხბურთო გულშემატკივრების ერთ-ერთი წინამძღოლი, 16. ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი (ფოტო), 17. ნჰლ-ის კლუბი, 20. ახლო წარსულში ბორჯომელი საფეხბურთო მსაჯი, 22. წარსულში ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ჰოკეისტი. 23. წარსულში კიევის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიას" ფეხბურთელი, 26. უეფას წევრი ქვეყანა, 27. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 28. წარსულში ცნობილი ქართველი ცხენოსანი.

**შვეულად:** 1. ბრაზილიელი ფეხბურთელი, მონდიალი-94-ში გამარჯვებული, 2. წარსულში ცნობილი გერმანელი მოციგურავე ქალი, 3. ჩეხი ჩოგბურთელი ვაჟი, 4. ცნობილი შვედი ფეხბურთელი, 6. „ჩიკაგოს" კალათბურთელი, 9. ახლო წარსულში „ბაიერნის" ფეხბურთელი, ფორვარდი, 10. წარსულში „სკუადრა აძურას" თავდამსხმელი, 12. მოსკოველი ფეხბურთელი, მეკარე, ამჟამად გამოდის ისრაელის კლუბში, 13. 80-მანი წლების ქართველი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 18. კუთხე საბერძნეთში, გადატანითი მნიშვნელობით — ბედნიერი ქვეყანა, 19. „ატლეტიკის" ბასკი ფეხბურთელი (ფოტო), 21. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 24. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 25. სასროლეთი.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა წუხილს გამოთქვამს ქართული ფეხბურთის დიდი გულშემატკივრის

**გურამ ძავთარაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. კc8! მუქარა 2. ეe6X.
1. ...fe 2. კd4+ მფf4 3. ე:f6X.
1. ...მფ:e4 2. ეd4+ მფf3 3. ეf4X.
2. ...მფe5 3. f4X.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 6. მოსტოვოი, 7. შმეიხელი, 9. ედეშკო, 10. ბალცო, 12. გლიხა, 14. ვიალი, 15, რუდოლფი, 18. ესებუა, 19. „ქსანტი", 23. ასანიძე, 24. სმიტი, 26. მარაო, 29. შიონი, 30. ფალკაო. 31. გვახარია, 32. კაპრიატი. შვეულად: 1. ჟორდანია, 2. ცორკი, 3. შმუცი, 4. ახტალა, 5. ალიოხინი, 8.. შარადა, 11. ფორტუნა, 13. ხლუსი, 16. ლასკერი, 17. სტამი, 20: ბელანოვი, 21. კიმანო, 22. „ატალანტა", 25. გადოხა, 27. ფილია, 28. მაურო.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე